



ლექსიკონი

საპარტოვლოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1 (109) 27 იანვარი 2017 წელი

ქეთა სამხარაძე

მიხეილ კალატოზიშვილი

გვ. 2-3

გიორგი ბასილაია

ქართული ფილმის პროგრამა

გვ. 4-6

ნიკა კიკნაძე

ავტორი მოკვდა, გაუმარჯოს მომხმარებელს

გვ. 7-8

ფსიქოლოგიის ბაკვეთილები ბრძელებსა

სალომე ცირამუა

სივრცის აღქმა მხატვართან მიმართებაში

ნანუკი მაკრახიძე

ნიკო

ქეთა ჯინჭარაძე

* * *

გვ. 9-10

ანა სანებლიძე

პიანისტი

გვ. 11-12





სკოლის სკოლა

მიხეილ კალატოზიშვილი

1920-იანი წლების საქართველოში ახალი ხელოვნება სულ უფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს. პრესის ფურცლებზე ბევრს კამათობდნენ დოკუმენტურსა და მხატვრულ კინოზე. ამ დავაში აქტიურად მონაწილეობდა მიხეილ კალატოზიშვილი. მისთვის კინო საკუთარი „მეს“ ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ იბრძოდა ასეთი თავგამოდებით კინოს სიწმინდისთვის, მხატვრული დონის ამაღლებისთვის და ეს ბრძოლა აუცილებელი იყო, რადგან კინო, რომელმაც ძალზე სწრაფად მოიპოვა მაყურებელი, მას თანდათან კარგავდა.

მიხეილ კალატოზიშვილის მოსვლა ქართულ კინემატოგრაფში მოულოდნელი არ ყოფილა. სანამ დამოუკიდებელ ნაბიჯებს გადადგამდა, ბევრი იმუშავა სხვადასხვა რეჟისორთან, როგორც ოპერატორმა („ორთქლმავალი 1000ბ“, „გიული“), როგორც მეორე რეჟისორმა, მექანიკოსმა, როგორც მსახიობმა („სამი სიცოცხლე“, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“), სცენარისტმა („ბოშათა სისხლი“), და როგორც – ოპერატორის ასისტენტმა („ჯანყი გურიაში“). აქვეყნებდა წერილებს ჟურნალ „მემარცხენეობაში“, სადაც აქტიურად გამოთქვამდა აზრს კინოს შესახებ. 1930 წელი სამუდამოდ ჩაიწერა ქართულ კინემატოგრაფში, ამ წელს მაყურებელმა დოკუმენტური კინოს შედეგრი იხილა.

მიხეილ კალატოზიშვილს, როგორც „მემარცხენეთა დაჯგუფების“ აქტიურ წევრს, რეალისტური კინოხელოვნების შექმნის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად მიაჩნდა დოკუმენტური მასალა, – არსებული სინამდვილის ასახვა. 1929 წლამდე იგი, ძირითადად, ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების ავტორ-ოპერატორად მუშაობდა. მის მიერ გადაღებულია: „ზაჭვის ტურბინის გახსნა“, „ცხენების ფაბრიკა“, „ავღანელი ხანის ჩამოსვლა თბილისში“, „მხატვის თეატრის გასტროლები“.

1928 წელს კალატოზიშვილმა, როგორც რეჟისორმა და ოპერატორმა, გადაიღო ფილმი „მათი სამეფო“ („18-28“), რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავს მიეძღვნა. მიხეილ კალატოზიშვილმა და ნუცა ლოლობერიძემ გადაწყვიტეს ფილმში ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ მენშევიკების დროინდელი და საბჭოთა

საქართველო. ფილმი რვანაწილიანი იყო, სამი ნაწილი მენშევიკური მთავრობის ქრონიკისგან შედგებოდა, 5 ნაწილი კი კალატოზიშვილმა გადაიღო. „მათი სამეფო“ შემორჩენილი არ არის, ამიტომ ამ ნაწარმოებზე ვრცლად მსჯელობა არ შეგვიძლია. თავად რეჟისორები მუშაობის პროცესის შესახებ ჟურნალ „მემარცხენეობაში“ წერდნენ: „აქ საჭიროა აღინიშნოს გაფორმების ხერხი, რომლითაც ჩვენ სურათის მონტაჟის დროს ვხელმძღვანელობდით, ეს არის პაროდიზმი. პაროდიზმის გამოყენება ჩვენ შეგვიძლია მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენამდე იყო გადაღებული“. თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით, ფილმი ოპერატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. კადრები ფილმიდან „მათი სამეფო“ მოსკოვის „ნოვი ლეფის“ ჟურნალში იბეჭდებოდა, როგორც ფოტოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები.

1929 წელს კინოექსპედიცია მხატვრული ფილმის – „უსინათლოს“ გადასაღებად სვანეთს გაემგზავრა. იმავე წლის ბოლოს გადაღებული მასალა თბილისში ჩამოიტანეს, დაამონტაჟეს (იკონებდა ფილმის რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი), მოაწყვეს საზოგადოებრივი ჩვენება-განხილვა, ხოლო ფილმის ეკრანზე გაშვება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. 26 წლის კალატოზიშვილი, რომლისთვისაც „უსინათლო“ პირველი მხატვრული ფილმი იყო, დაუნდობელი კრიტიკის შედეგად, ფორმალისტად გამოაცხადეს. კრიტიკოსებმა ფილმი შერისხეს: „უსინათლო“ გამოაცხადეს უვარგის ნაწარმოებად და ფილმი „თაროზე შემოდეს“. მაგრამ, სამწუხაროდ „უსინათლო“ თაროსაც ვერ შერჩა, იგი დაიკარგა...

ყველაფერი დაიწყო მაშინ, როდესაც 26 წლის რეჟისორი „ჯიმ შვანთეს“ შეეჭიდა. თავადაა ფილმის ოპერატორიც. „შესანიშნავად გადაღებულმა „ჯიმ შვანთემ“ ქართველი მიხეილ კალატოზიშვილის ტალანტი გახსნა“, – ამბობს ჟორჟ სადული. ფრანგი კინოკრიტიკოსი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მიხეილ კალატოზიშვილისა და ლუის ბუნუელის შემოქმედებით სიანლოვეს და ამორი რეჟისორის ფილმებში ერთმანეთის მსგავს კადრებსაც პოულობს. იგი ამასთანავე საუბრობს მათ განსხვავებულობაზე.

ჯერ კიდევ 1928 წელს მიხეილ კალატოზიშვილი უშურნალ „მემარცხენეობაში“ წერდა: „კინემატოგრაფია ტექნიკის ხელოვნებაა, სწორედ აქ შეიძლება რაციონალიზაცია განხორციელებული იქნეს მთელი 100%-ით. არა მარტო გადაღებისა და ლაბორატორიული სინამდვილის მხრივ, არამედ მხატვრული წარმოების ბაზაზედაც. კადრის ხედვითი კუთხის შთაბეჭდილებისათვის შეუძლებელია იმ კუთხით და დონით გადაღება, რომელიც გაავტომატირებულია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებით. ე.ი. თვალების დონით, „ხედვის წერტილის“ მონახვა აუცილებელია ისეთი ხედვითი კუთხის „რაკურსით“, სადაც სივრცობრივი ფორმებით მაქსიმალურად გამოხატული იქნება მასალის გამომეტყველება, რომელიც აგრეთვე გაძლიერებული იქნება განათებით“.

ფილმში „ჯიმ შვანთე“ მხატვრული და დოკუმენტური ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ მთლიანობა არ ირღვევა. კალატოზიშვილმა შეძლო, საოცარი დამაჯერებლობით ეჩვენებინა სვანეთის ყოფა, ბუნება.

„რაკურსმა არ უნდა გააორიგინალოს ან გაალამაზოს ნივთები, ის უნდა იყოს როგორც სტილისტური ხერხი, რომელიც აზრიანად იქნება გამიზნული სიუჟეტის წყობასთან დაკავშირებით“.

„ჯიმ შვანთე“, შეიძლება ითქვას, პირველი საბჭოთა ფილმია, რომლის ავტორმაც უარი თქვა მოწოდებაზე, შეგონებაზე, რომელშიც ავტორი-კამერა-მაყურებელი-გმირიერთმანეთს შეუერთდა. ამიტომ აქ, კალატოზიშვილისა და დავით კაკაბაძის დოკუმენტურ შედეგში, კინოკამერა ხან ქერის მარცვლის დამფქველის როლს ასრულებდა, ხანაც გამოხატავდა მდგომარეობას ადამიანისა, რომელსაც თავბრუ ესხმის. ეს ე.წ. სუბიექტური კამერის დამკვიდრების ტრადიციაა, რომელსაც კალატოზიშვილი „ჯიმ შვანთედან“ იწყებს და „მიფრინავენ წეროებში“ აგრძელებს. ამ ორი ფილმის ანალიზისას ხაზს უსვამენ ერთიან ავტორისეულ ხედვას და იმას, რომ „წეროებში“ განახლებული და გააზრებული იყო მუნჯი კინოს, სწორედ „ჯიმ შვანთეს“ ესთეტიკა.

როგორც მიხეილ კალატოზიშვილთან საუბარში გამოიკვა, ფილმში „ჯიმ შვანთე“ სახიობითი ეპიზოდები „უსინათლოს“ ნარჩენებიდან არის შედგენილი, ხოლო დოკუმენტური მასალა – ხედვითი ფილმისგან. ამგვარად ჩამოყალიბდა კინოწარმოების სტილური ფორმა, რომელიც დოკუმენტურისა და სახიობითი მასალის სინთეზში გამოიხატება... ეს სტილისტიკა დროის, საბჭოთა კინო-ხელოვნებაში შექმნილი ვითარებისა და აგრეთვე, თვით კინოხელოვნების სპეციფიკის მიერ იყო ნაკარნახევი...

ფილმმა მრავალმხრივ განსაზღვრა არა მხოლოდ მიხეილ კალატოზიშვილის შემოქმედება, არამედ 1920-იანი წლების კინო-ესთეტიკაც, რომელიც იმხანად მხოლოდ იბადებოდა.

ქეთა სამხარაძე
კინომცოდნეობის IV
კურსი





ქართული ფილმის პრობლემა

უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფრო იკლებს ქართული ფილმის პოპულარობა. ხსენებულ ფაქტს არაერთი მიზეზი გააჩნია. მოცემულ წერილში შევეცდები აღვწერო ძირითადი პრობლემები და მოვიყვანო მათი გადაჭრის შესაძლო, თეორიული გზები.

ქართული კინოს ისტორია 1900-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირის შექმნამდე, დამოუკიდებელ საქართველოში გადაიღეს რამდენიმე სრულმეტრაჟიანი სურათი, მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ 1919 წლის ნამუშევარი - „ქრისტინე“, რაც პირველ ქართულ მხატვრულ ფილმად ითვლება. საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართველი რეჟისორების მიერ გადაღებული ფილმების ხარისხი ერთიორად გაიზარდა. კინოსტუდიების მხარდაჭერისა და შედარებით მაღალი დაფინანსების წყალობით, ქართული ფილმი მსოფლიო მასშტაბით გახდა ცნობილი. არაერთ საბჭოთა ჯილდოს ევროპული ფესტივალების ნომინაციები და პრიზები დაემატა, ქართულმა ფილმმა კუთვნილი ადგილი დაიკავა მსოფლიო კინოხელოვნებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანაში შექმნილმა სოციალურმა ფონმა კინოს განვითარების პროცესი დროებით შეაჩერა. დაფინანსების და უცხოეთის მხარდაჭერის არქონამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დახია ქართული კინოხელოვნება. ამას თან დაერთო ე. წ. „ტვინის გადინება“, ცნობილი ქართველი რეჟისორები და კინოინდუსტრიაში მომუშავე პირების ნაწილი უცხოეთში გადავიდა სამუშაოდ, სადაც უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ადრეული 90-იანი წლების ფილმები მხოლოდ მცირე აუდიტორიას ჰქონდა ნანახი, ცხადია, ამგვარ პირობებში გადაღებული სურათი საერთაშორისო აღიარებას ძნელად თუ მოიპოვებდა (გამონაკლისს წარმოადგენს ნანა ჯორჯაძის 1996 წლის ფილმი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, რომელიც ამერიკის კინოაკადემიის ოსკარზეც იყო ნომინირებული). შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფილმის სტაგნაციის პერიოდი 2000-იანი წლების შუაში დასრულდა, თუმცა ახალმა ნამუშევრებმა მაინც ვერ შეძლეს საბჭოთა კავშირში გადაღებული ქართული ფილმების სიმძლავრის მიღწევა.

ყოველივე ხსენებულს, არაერთი გამომწვევი მიზეზი გააჩნია, თუმცა უმთავრესად მაინც ფინანსური პრობლემა უნდა მივიჩნიოთ:

• ფინანსური კრიზისი

კინოხელოვნების მაღალი ტემპებით განვითარებამ მოიტანა მაღალბიუჯეტიანი ფილმების არსებობის აუცილებლობა. წლიდან წლამდე სულ უფრო ძვირი ჯდება მაღალი ხარისხის ნამუშევრის გადაღება, რომელიც, იმავდროულად, ინვესტორებს ღირებულ ფინანსურ მოგებას მოუტანს. ჰოლივუდის ტემპებით განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთდეს შედარებით დაბალბიუჯეტიან ფილმებზე, სადაც შემცირდება სპეციალური ეფექტებისა და კომპიუტერული გრაფიკის როლი, რაც ყველაზე დიდ ხარჯებთან ასოცირდება. ჩვენს თანამედროვეობაში, პოტენციური ინვესტორი ვერ რისკავს თანხის ჩადებას პროექტში, რადგან ბოლო წლებში, ქართულ ფილმებს პრაქტიკულად არ მოაქვთ ფინანსური სარგებელი. შესაბამისად, კინოხელოვნება ერთ ადგილზე დგას და ვეღარ ვითარდება.

• შემოსავლის პრობლემა

კინოინდუსტრიაში უნდა გამოიყოს საშუალო ბიუჯეტის მქონე ფილმის მიერ შემოსავლის მოტანის ორი ძირითადი ხერხი – კინოთეატრებში გაყიდული ბილეთების თანხა და ციფრული დისკების გაყიდვის შედეგად შემოსული სარგებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ფინანსურ რეალობასთან შედარებით, საშუალო სტატისტიკური ბილეთის ფასი საკმაოდ მაღალია, რაც, პირველ რიგში, ზარალს აყენებს დაბალბიუჯეტიან ფილმებს. მაყურებელს ურჩევნია კინოთეატრში იხილოს მაღალბიუჯეტიანი ბლოკ-ბასტერი, ან კინოფესტივალებზე წარმატებული უცხოური ფილმი, რომელსაც მსოფლიო აღიარება აქვს. შესაბამისად, მაყურებელი არ აპირებს გადაიხადოს 10-15 ლარი ადგილობრივი წარმოების ფილმში. ცხადია, ამის მიზეზს მხოლოდ მაყურებლის ფინანსური სიღუჭიერე არ წარმოადგენს. ბოლო წლებში გამოსული ფილმების ხარისხი არ იძლევა ოპტიმიზმის მიზეზს. მაყურებელს არ გააჩნია გარანტია, რომ ბილეთის ფასის შესაბამის სანახაობას იხილავს, შედეგად – ის შედის ჰოლივუდური ფილმის სენსზე, ან სულაც არ მიდის კინოთეატრში და ფილმის ციფრული კოპიის გავრცელებას ელოდება.

ყოველივე ხსენებულმა მიგვიყვანა კიდევ ერთ პრობლემამდე:

• „ბირატული“ საიტები და ციფრული კინო

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-მეკობრეობის მხრივ, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე პოზიცია უჭირავს. ფილმის ციფრული დისკის გამოსვლისთანავე არაერთ ქართულ ვებ-საიტზე ჩნდება ფილმის არაოფიციალური – ე.წ. მოპარული ვერსია. შესაბამისად, ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს, ვისაც ინტერნეტთან წვდომა გააჩნია, აქვს საშუალება, უფასოდ უყუროს ნებისმიერ ფილმს. ამ ფაქტმა გამოიწვია ციფრული დისკების ბიზნესის უკუსვლა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის, DVD და Blu-Ray დისკებს საქართველოში პრაქტიკულად არავინ ყიდულობს. ამავე მოვლენის გამო, საგრძნობლად შემცირდა კინოთეატრში მოსიარულეთა რიცხვი. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ფილმებს არ გააჩნიათ იმ რაოდენობის ბიუჯეტი, რაც საერთაშორისო ბაზრის ასათვისებლად საჭირო, მათ უწევთ მხოლოდ შიდა მომხმარებელზე ორიენტირება. ონლაინ პორტალების არსებობამ და ბილეთზე მაღალმა ფასებმა კი გამოიწვიეს ის, რომ ჰოლივუდური ფილმების არასაპრემიერო დღეს, კინოდარბაზები ნახევრად ცარიელია, ქართული ფილმების სეანსებისას კი დარბაზის 25 %-იც კი იშვიათად ივსება.

• ინტერესი და ჟანრული მრავალფეროვნება

ზემოთ მოყვანილი პრობლემების გათვალისწინებით, უნდა ვეძებოთ გზა, თუ როგორ უნდა დავანტერესოთ მაყურებელი, უნდა ვეძებოთ ფართო აუდიტორიის კინოთეატრში მოსაზიდი საშუალებები. ბოლო წლების მონაცემების გათვალისწინებით, ყველაზე დიდი ფინანსური მოგება ზაფხულში გამოსულ მაღალბიუჯეტო ბლოკ-ბასტერებს მოაქვთ. ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნია, კერძოდ: ზაფხულში მოსახლეობის უმეტესობა არ მუშაობს და შედარებით ბევრი თავისუფალი დრო აქვს, ამასთან, ფართო მასებს განსაკუთრებით იზიდავს მძაფრსიუჟეტოანი, ე.წ. Action ჟანრის ფილმები (მაგ.: „მისია შეუსრულებელია“, „შურისმაძიებლები“, „იურული სამყარო“ და სხვ.). უკანასკნელი წლების ქართულ ფილმოგრაფიას თუ გადავხედავთ, ამ ჟანრის

ფილმებს ვერ შევხვდებით. ასევე დიდი სიმპათიებით სარგებლობს კომედიური ჟანრის ფილმები. ამასთან, ამ ჟანრის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ფილმს არ მოეთხოვება მაღალი სინემატოგრაფიული ღირებულება. მაგალითისთვის, ცნობილი ამერიკელი მსახიობის – ადამ სენდლერის ფილმებს კრიტიკოსები კატასტროფულად დაბალ შეფასებებს უწერენ, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს მის ფილმებს სამმაგი და ოთხმაგი ფინანსური მოგების მოტანაში. საქართველოში იყო არაერთი მცდელობა, ამ ჟანრში გადაეღოთ წარმატებული ფილმი, თუმცა მათი უმეტესობა ჰოლივუდურ კლიშეებზე დაფუძნებულ არაოფიციალურ Remake-ებად გვევლინება (მაგ.: „მისტერ ძიძა“, რომელიც ამერიკული ფილმის – „მისის დაუბტფაიერის“ შინაარსს მიყვება). შესაბამისად, მაყურებლების უმეტესობა ტრეილერებიდანვე ხვდება, რომ კინოთეატრში ახალს ვერაფერს იხილავს, ბილეთები აღარ იყიდება და ფილმი ფინანსურ მოგებს ვერ იღებს. დაბალი ბიუჯეტის და მაყურებლის გემოვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია წარმატებული გამოდგეს ფსიქოლოგიური თრილერები, ცხოვრებისეული შინაარსის მქონე ფილმები, ქვეყნის ისტორიულ წარსულზე დაფუძნებული ნამუშევრები. თუმცა, ამან არ უნდა მიგვიყვანოს თემატიკის გაერთფეროვნებამდე, რაც ჩვენს სიაში მომდევნო პრობლემას წარმოადგენს.

• ერთფეროვანი თემატიკა

თუკი ბოლო წლების წარმატებულ ქართულ ფილმებს გადავხედავთ, აუცილებლად შევამჩნევთ ერთფეროვან თემატიკას. კერძოდ კი, ნამუშევრების უმეტესობა 90-იანი წლების საქართველოს, აფხაზეთის ომისა და ნარკომანიის გარშემო ვითარდება. ერთი მხრივ, ამგვარი თემატიკა მისასალმებელია, რადგანაც ქვეყნის ახლო წარსულს ასახავს და შესაძლოა აუდიტორიის ნაწილში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებასაც ემსახურებოდეს, თუმცა არ უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ჟანრის ფილმებზე შეჩერება. „გასეირნება ყარაბაღში“, „ქურის დღეები“, „გალმა ნაპირი“, „მანდარინები“ – მიუხედავად იმისა, რომ სხვა ნამუშევრებთან შედარებით ეს ფილმები გაცილებით მაღალ დონეზე დგას, უკვე შეიმჩნევა ერთი თემატიკისგან მაყურებლის გადაღლა. გარდა



◀ 5 გვ.

მსგავსი შინაარსისა, ამ ფილმებში ხშირად შევხვდებით ერთსა და იმავე სამსახიობო ანსამბლს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ ხსენებული თემატიკის ფილმებმა დაკარგონ მრავალრიცხოვანი აუდიტორია, რადგანაც მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება, რომ მუდმივად ერთი სცენარის განვითარებას ადევნებს თვალყურს, სადაც ერთი და იგივე ხალხის ანსამბლი მონაწილეობს

• მსახიობების პრობლემა

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ფილმების უმეტესობაში ერთსა და იმავე მსახიობებს ვაწყდებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ მსახიობების უმეტესობა, კინოში თეატრიდან არის მოსული. ისინი არ არიან სპეციალიზებული კინომსახიობობაში, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ფილმებზე. მათ სამსახიობო ოსტატობას ეჭვქვეშ არავენ აყენებს, თუმცა თუნდაც ჰოლივუდური და საბჭოთა ფილმების შედარებისას აშკარად დავინახავთ სხვაობას კინოვარსკვლავსა და თეატრის მსახიობს შორის. ამ პრობლემის საფუძველი კი კვლავ ფინანსებთან და განათლების სისტემასთან მიდის. თეატრის დაბალი ანაზღაურების შემხედვარე, პროფესიონალ მსახიობებს ურჩევნიათ კინოს სფეროში გადავიდნენ და იქ შედარებით უკეთეს პირობებში იმუშაონ. საქართველოში არ არსებობს სპეციფიკურად კინოზე ორიენტირებული სასწავლებლები, რაც იწვევს ფილმებში თეატრის მსახიობების მონაწილეობის აუცილებლობას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. Star Power-ს, ანუ ვარსკვლავის სტატუსს. მაგალითისთვის, თუკი ფილმში ტომ კრუზი მონაწილეობს, პრაქტიკულად არ არსებობს ფილმის ფინანსური კრახის შანსი. საქართველოში ამგვარი კინოვარსკვლავები ნაკლებად გვხვდება. რამდენიმე წლის წინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფილმები მიშა მესხის მონაწილეობით. თუმცა წლების განმავლობაში, მის მიერ სხვადასხვა ნამუშევარში განსახიერებულმა ერთგანზომილებიანმა პერსონაჟებმა მას ეს სტატუსი ნელ-ნელა დაუკარგა. უცხოურ კინოინდუსტრიაში აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს ფილმში „ლამაზმანის“ ჩართვა, რაც მამაკაცი მაყურებლის მოზიდვას იწვევს, ამგვარ ტაქტიკას ბოლო ხანებში ქართული

ფილმებიც მიმართავენ, თუმცა მიუხედავად ამისა, სერიოზული ფინანსური წარმატების მქონე ფილმების დასახელება მაინც რთულია.

გამოსავალი

ამგვარი მძიმე სიტუაციიდან ერთი შეხედვით გამოსავალი არც ჩანს. ფინანსების მოზიდვის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ქართული კინოინდუსტრიის მასშტაბების გაფართოება. ამ თვალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დამოუკიდებელი ფილმის განვითარება (ე.წ. Independent Movie – Indie). აშშ-ში ყოველწლიურად მილიონობით დოლარი იხარჯება ახალგაზრდა რეჟისორებისა და სცენარისტების დასაფინანსებლად. მაგალითისთვის სანდენსის და ოსტინის კინოფესტივალებიც კმარა, სადაც გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური გრანტები, რაც მომავალი პროექტების დასაგეგმად და გადასაღებად საჭირო ბიუჯეტს ემატება. ზოგადად, ამ ტიპის ფილმი საკმაოდ დაბალ საწყის კაპიტალს მოითხოვს, შესაძლებელია დამწყები მსახიობების დასაქმებაც, რომლებიც დამატებით გამოცდილებას მიიღებენ.

უნდა შეიქმნას სპეციალური წამახალისებელი კონკურსები, სადაც დაბალბიუჯეტიანი ფილმები მიიღებენ მონაწილეობას.

უნდა მოხდეს დამოუკიდებელი ფილმების გაშუქება ფესტივალებზე, რათა მაყურებელმა გაიცნოს ახალგაზრდა რეჟისორები.

შესაბამისად გაიზრდება ინტერესი მათი შემდგომი ნამუშევრებისადმი და შესაძლოა, ახლო მომავალში ქართულმა კინოინდუსტრიამ წინ დიდი ნაბიჯი გადადგას.

**ბიორბი ბასილაია
კინომცოდნეობის IV კურსი**

ავტორი მოკვდა, ბაშმარჯოს მომხმარებელს

კინო არის სინკრეტული ხელოვნების დარგი. ხელოვნების სათავეებთან ვხვდებით სინკრეტიზმს, რიტუალების სახით. როგორც ცნობილია, რიტუალებიდან წარმოიშვა თეატრი. დროთა განმავლობაში ხელოვნების სხვადასხვა დარგი დამოუკიდებლად განვითარდა. თეატრმა სინკრეტული სახე შეინარჩუნა. კინო, როგორც თეატრის, ისე ხელოვნების სხვა დარგების გამოცდილებას დაეფუძნა, ისეთი დარგების, როგორებიცაა: ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა და ასე შემდეგ... თუმცა კინოს არსებითი სიახლე ის არის, რომ მან გამოიყენა და დღემდე იყენებს ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

ავტორის როლიც ხელოვნებაში იმავე ხაზით შეიძლება გავიაზროთ: რიტუალი იყო სოციალური ფენომენი, შემდეგ ავტორი ინდივიდუალურ ფენომენად იქცა და ასე ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ასეთად რჩება.

ხელოვნებაში მორალმაც იგივე გზა გაიარა: თავიდან იგი სოციალური ფენომენი იყო. მას შემდეგ, რაც ავტორი ინდივიდალად იქცა, ის ავტორის არჩევანს დაემორჩილა. შესაბამისად, მორალი შეიძლება იყოს როგორც ავტორის ორიგინალური ნააზრევი, ისე სოციალური ნორმით ნაკარნახევი მოცემულობა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ავტორის არჩევანია, – დაეთანხმოს სოციალურ ნორმას თუ არა. მხოლოდ ამიტომ შეიძლება ხელოვნებაში კვლავ შეგხვდეს სოციალური მორალი.

ინდივიდუალურ ხელოვნებას ბევრად დიდი ხნის, მრავალფეროვანი და ღრმა ისტორია აქვს. ამიტომ მან ბევრად ფართო განვითარება ჰპოვა. ინდივიდუალური ხელოვნება მიიყვანა ისეთ მიმდინარეობებამდე, როგორებიცაა ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი და ა.შ.. ეს მიმართულებები, თავის დროზე, ძირითადად, იყო ექსპერიმენტი ავტორის პირად გამოცდილებასთან, პირად აზრებთან, პირად დამოკიდებულებასთან კავშირში.

მე-20 საუკუნიდან მოყოლებული ავტორის, როგორც მოაზროვნის, როლი თანდათან უკან იხევს. შემოქმედებაში ავტორის კვალი მხოლოდ მის მხატვრულ ხედვაში, პერსონაჟის, სცენის და ა. შ. არჩევანში ჩანს. იგი მომხმარებელს გარკვეული მხატვრული ხედვით სთავაზობს გარკვეულ მოვლენებს. ზემოთ ნახსენები ხაზის დაკავშირება ამ თვალსაზრისთანაც შეგვიძლია.

ეგროპული ხელოვნების ისტორიის სათავეებთან, ანტიკურ საბერძნეთში, იყო

მოსაზრება, რომ ხელოვნება სინამდვილის მიბაძვა იყო. ხელოვნების შესახებ მაშინაც არსებობდა ოდიოზური მოსაზრებები. პლატონი ამორალურობას საყვედურობდა პოეტებს, როდესაც ისინი ლიტერატურულ ნაწარმოებში ღმერთების ინტიმურ კავშირებს ან მათ სისუსტეებს აღწერდნენ. პლატონისთვის ეს მიუღებელი იყო, რადგან თვლიდა, რომ ცუდი მაგალითი იქნებოდა საზოგადოებისათვის.

არისტოტელე (მისი ნააზრევი ითვლება ხელოვნების თეორიის მწვერვალად და როგორც ამბობენ, ხელოვნების თეორიის მთელი შემდგომი განვითარება არის არისტოტელეს პოეტიკის სქოლიო) პრინციპულად გაემიჯნა თავისი მასწავლებლის პოზიციას და თქვა, რომ ხელოვნება არის სინამდვილის მიბაძვა, მაგრამ ეს სინამდვილის შემოქმედებითი გარდასახვაა და სწორედ აქ, მხატვრულ გარდასახვაში მდგომარეობს ხელოვნების არსიო. ცხოველი შეიძლება სინამდვილეში მახინჯი იყოს ან მოვლენა ძალიან ამორალური, თუმცა როდესაც მას ვნახულობთ შემოქმედებითად გარდასახულს, ეს სიამოვნებას გვანიჭებს. ამ თვალსაზრისს ეთანადება ტარანტინოს შემოქმედება. „მაკულატურაში“ ნებისმიერი ძალადობით სავსე სცენა, თუნდაც როცა ერთ-ერთ მთავარ გმირს იარაღი გაუვარდება და მთელ მანქანას ახალგაზრდა ყმაწვილის ტვინით მოსვრის, მაყურებელს სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ არა ძალადობის გამო, არამედ სიტუაციის კომიკურობის, აბსურდულობის გამო (არისტოტელევე ამბობდა, რომ სასაცილოა ის, რაც შეუსაბამოა).

თანამედროვე ხელოვნების კრიტიკოსები, ძირითადად, საუბრობენ (ან გულისხმობენ) მორალის და/ან ავტორის როლის დაკარგვაზე. ისინი გულისხმობენ ან პირდაპირ ამბობენ, რომ ეს არის ხელოვნების დაცემა. თუმცა, ვფიქრობ, პირიქით, – ეს აზრი ხელოვნების ანტიკურობაშივე არსებული ძირითადი პრინციპის აღწევებაა. კინოში ეს პრინციპი შედარებით გვიან გაჩნდა. მას წინ უსწრებდა სახვით ხელოვნებაში ავტორის როლისა და მორალის დაკარგვა. ეს ის პერიოდია, როცა გაჩნდა დადაიზმი, ფუტურისმი და სხვა ამგვარი მიმდინარეობები. ლიტერატურაში ძლიერად გამოვლინდა ეს ტენდენცია, რამაც დღემდე „დაუძლეველი მწვერვალის“,

შინაგანი მონოლოგის გაჩენა გამოიწვია. ეს არის სინამდვილის ყველაზე უშუალოდ ასახვის ტექნიკა ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, ეს ტენდენცია შეიმჩნევა კინოშიც, XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ამ პროცესს ძლიერი კვალი არ დაუტოვებია.

ტერმინი „ავტორის სიკვდილი“ კინოში პოსტმოდერნიზმმა დაამკვიდრა. როგორც მანანა ლეკბორაშვილი ნაშრომში „პოსტმოდერნული სიტუაცია კინემატოგრაფში“ აღნიშნავს: „პოსტმოდერნიზმის ამერიკელ მკვლევარს ფრედერიკ ჯეიმსონს მიაჩნია, რომ მისთვის დამახასიათებელია „სუბიექტურის“, ე.ი. ავტორის სიკვდილი. მისი აზრით, განსხვავებით მოდერნიზმის ეპოქისა, როცა

რეჟისორებს, როგორებიც არიან: კვენტინ ტარანტინო, დევიდ ლინჩი, მიჰაელ ჰანეკე, ძმები კოენები, ვეს ანდერსონი და სხვა მრავალი, არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით ხაზი გადავუსვათ. უბრალოდ, ავტორს აღარ სჭირდება ქადაგის როლში ყოფნა, მან მოიხსნა ეს ფუნქცია. გარდა ამისა, ხელოვნების ნიმუში, ფილმი, ნახატი ან წიგნიც არ არის დასრულებული პროდუქტი მანამ, სანამ მას მომხმარებელი არ მიიღებს. ფილმში „ფოტოგადიდება“ მთავარი გმირის მეზობელი, მხატვარი თავის აბსტრაქტულ ნახატს შემდეგნაირად ხსნის: „ხატვის პროცესში, ნახატი უბრალოდ ფერადი არეულობაა. ფორმა თანდათან ვლინდება. მაგალითად, აი ეს ფეხი... სურათი თვითონ იწყებს გამოკვეთას“.



თითოეულ გამოჩენილ შემოქმედს გააჩნდა ინდივიდუალური სამყარო და ინდივიდუალური სტილი. დღეს, კორპორაციების ეპოქაში, როცა ჩამოყალიბდა „ორგანიზმის ადამიანი“, აღარ არსებობს ინდივიდი, აღარავინაა, ვინც ახალ სტილს გამოიგონებს. ამიტომ მხოლოდ ძველებისადმი მიბაძვა რჩება. ასე წარმოიშობა სტილიზაცია, რომელიც ჯეიმსონს პოსტმოდერნისტული ესთეტიკის მთავარ ნიშნად, ხოლო რომ არ იყოს საყვედურები მიბაძვისთვის, იგი ოდნავ ირონიულ და პაროდულ ხასიათს იძენს“. ამის შესანიშნავი მაგალითია ფილმი „კორპორაცია წმინდა მოტორსი.“ მთავარ გმირს საკუთარი ცხოვრებაც არ აქვს და „კორპორაციის“ დავალებით მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს.

რა თქმა უნდა, ესეთ რადიკალურ ჭრილში „ავტორის სიკვდილის“ განხილვა არასწორია. პოსტმოდერნისტული კინო ნამდვილად არ განიცდის გენიოსი ავტორების სიმცირეს. ისეთ

ფილმის მთავარი გმირი, ფოტოგრაფი ტომასი, თავგამოდებით ცდილობს რაიმე ხელმოსაჭიდი იპოვოს თავის შემოქმედებაში. ამ მომენტიდან ფილმის მსვლელობას ტომასის ფიქრები განსაზღვრავენ. იგი ბრუნდება პარკში თავისი წარმოდგენების შესამოწმებლად და მართლაც, პოულობს სნეულს, რომელიც სინამდვილეში მისი წარმოსახვის ნაყოფია. მოგვიანებით აღმოჩნდება კონცერტზე, სადაც ყველა თითქოს ერთი დიდი გადაღებისთვის არის გამზადებული. კონცერტის დასასრულს ტომასი „დაითრევს“ გიტარის ნატუნს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად საგანს მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა, გარეთ გამოსვლისას აღმოჩნდება, რომ გიტარის ნატენი, უბრალოდ, გიტარის ნატენია. ეს არის პოსტმოდერნიზმის გამოვლინება. საბოლოოდ ხელოვნება მხოლოდ საგანია, რომლის არსიც მხოლოდ მის აღქმაში მდგომარეობს.

ნიკა კიკნაძე
კინომცოდნეობის IV კურსი

უსიძლობიის ბაკვეთილები ბრძელება...

მინდა მადლობა გადავუხადო იმ სტუდენტებს, რომლებმაც შეისწავლეს და გაითავისეს ზოგადი ფსიქოლოგიის საკმაოდ რთული საკითხები. მათ მოახერხეს ჩემ მიერ მიწოდებულ, საკმაოდ შეზღუდულ ამოცანებზე მშვენიერი მნატვრული ესეების შექმნა. ამჯერად, გთავაზობთ მასელოტის ცნობილ ექსპერიმენტზე აგებულ ჩანახატებს და ამასთანავე, თავად სტუდენტების მიერ შეჩერებულ ემოციათა ერთ-ერთ სახეობაზე ორიენტირებულ სულიდან ამონეტილ ისტორიებს...

მანანა მაჩაბელი, პედაგოგი

სივრცის აღქმა მნატვართან მიმართებაში

სივრცე, როგორც დიდი გალია... მნატვარი კი ის პოტენციური პატიმარი, რომელიც, როგორც სხვა ყველა, დამწყვედებულია. თუმცა, მხოლოდ მას ეძლევა შანსი მოიპაროს გალიის, სივრცის გასაღები, ან არც დასჭირდეს ქურდობა და თავად შექმნას გასაღებიც კი.

კლოდ მონე – ფრანგი მნატვარი, იმპრესიონიზმის ფუძემდებელი. მისი ერთ-ერთი ნამუშევარია „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“. ნახატზე არსებული ულამაზესი ეპიზოდი ასახავს დღისა და ღამის ერთმანეთისგან გაყრის ეპიზოდს. ფერთა გამა, ნახატის იდეა, პერსპექტივა... ეს არის ის სამი ძირითადი რამ, რისი საშუალებითაც კლოდ მონემ დიდი გადატრიალება მოახდინა, ჩემი აზრით, XIX საუკუნის მნატვრობაში.

სივრცის განსხვავებული აღქმა...

არარისმთავარი შექმნა ფიგურები, რომლებიც უბრალოდ ტილოსა თუ ფორმატის სიღრმეში შედიან. მთავარია, მნახველს აგრძნობინო, რომ შენ, მნატვარმა, ზუსტად იცი, რა ხდება არა მარტო ჰორიზონტამდე, არამედ იმის იქით.

კლოდ მონემ გამოიყენა ახალი თეორია ფერების გამაში, რამდენჯერმე გამოსახა ობიექტი სხვადასხვა განათებასა და ამინდში. გარდა ამისა, შექმნა ილუზია, თითქოს ეს ფიგურა იმ საბედისწერო ხაზსაც სცდება და გრძელდება, სადაც ცა და მიწა უერთდება ერთმანეთს. იქით, ჩვენი თვალსაწიერის მიღმა, ეს ფიგურა ნელდება, იბურება, თუმცა თავის სათქმელს მაინც ამბობს, და რაც მთავარია, არ ქრება.

მიუხედავად იმისა, რომ იმპრესიონიზმი დიდად არ მიზიდავს, კლოდ მონე და ეს კონკრეტული ნამუშევარი ძალიან ბევრი მნატვრიდან ამოვარჩიე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, არც მიმდინარეობას და არც ნამუშევრის ხასიათს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. ჩემთვის ეს ტილო განსაკუთრებით არსებითია. ვინაიდან, ვფიქრობ, რომ სწორედ სივრცის განსხვავებული, განსაკუთრებული აღქმით გამოიჩინა.

მნატვრის მოვალეობა არ არის, აუცილებლად, გამოიყენო პერსპექტივა ნახატში. მას შეუძლია დაუსრულებლად ხატოს სიბრტყეზე, იმუშაოს გრაფიკაზე, თუმცა ვერასდროს გააღოს გალია და დარჩეს სივრცის ტყვედ.

სალომე ცირამუა

ნიკო

ნისლიანი ამინდი იყო. ალბათ იწვიმებდა. ამ დროს პატარა ბავშვი, ნიკო, ფანჯრის რაფასთან იჯდა და პეიზაჟს ხატავდა. ეტყობოდა, ცოტას ღელავდა და ცდილობდა დედ-მამის ჩხუბისთვის უშრადღება არ მიექცია. მიჩვეული იყო ამგვარ ყოველდღიურობას. როდესაც მისი მშობლები ძალიან აბსურდულ თებაზე იწყებდნენ ჩხუბს, ნიკო ყოველთვის ფანჯარასთან ჯდებოდა და პეიზაჟს ხატავს იწყებდა.

მგრძნობიარე ბავშვი იყო ნიკო. ყოველთვის ეგონა, რომ მშობლების ჩხუბის მიზეზი თვითონ იყო. ხშირად უტირია ამის გამო, მაგრამ თავის დარდს მშობლებს არასდროს აჩვენებდა, რადგან ეშინოდა, ახალი ჩხუბის მიზეზი არ გამხდარიყო.

ამასობაში წვიმის პირველი წვეთიც ჩამოვარდა. ჩხუბის ხმამ იმატა, ნიკოც უფრო ნერვულად და სწრაფად უსვამდა ფუნჯს. უცებ თავისი სახლის წინ მან უსახლკარო ძაღლი დაინახა, რომელიც წვიმაში დახეტიალობდა. ძალიან ჰგავდა ნიკოს: ისიც ისეთივე სევდიანი და თვალცრემლიანი იყო. ნიკომ დიდხანს უყურა ძაღლს. სწრაფად წმობტა, ხელი დასტაცა ქოლგა და ქუჩაში გავარდა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც მშობლები ჩხუბით დაილაღნენ და მიხვდნენ, რომ ნიკოს სადილობის დრო მოსულიყო, ოთახში შეიხედეს. ოთახი ცარიელი დახვდათ, მხოლოდ ნიკოს ნახატი იდო მაგიდაზე. მშობლები



◀ 9 გვ.

შეშინდნენ, გავარდნენ გარეთ და დაინახეს ტროტუარის კიდეზე ჩამომჯდარი ნიკო, ქოლგით ხელში, რომელიც ძაღლთან ერთად იჯდა და სმამაღლა ტიროდა.

არ ვიცი, ამის შემდეგ რა მოხდა, მიხვდნენ თუ არა მშობლები თავის დანაშაულს, მაგრამ ფაქტია, იმ დღის შემდეგ ნიკო მხოლოდ ოჯახურ პორტრეტებს ხატავდა.

ნანუში მაპრახიძე

ხელოვნების ისტორია და თეორია

ყელში ამოსული ერთფეროვნების დასამარცხებლად, მეგობრებთან ერთად, სპექტაკლზე რომ წახვალ და იქიდან გამოსული ემოციით დატვირთული, დამუნჯებული ხმას რომ ვერ იღებ, ისევ დიდი სცენის პატარა მაყურებელი რომ ხარ და უეცრად მეგობრების გადაწყვეტილებით აღმოჩნდები უგემოვნო მუსიკით გაჟღენთილ ბარში, რომელიც მარტო ფილმებში თუ გინახავთ... ნორმალურ ადამიანს იქ შესვლა კი არა, მასთან ახლოს გავლაც კი შეურაცხყოფას მიაყენებს...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვსხედვართ, თავზარდამცემი მუსიკის ფონზე ვცდილობთ გავანეიტრალოთ ჩვენი ემოციები... თუმცა ხვდებით, ალბათ, რამხელა კონტრასტი იქნებოდა „კულტურის სახლიდან“ ამ „ბომჟურ“ გარემოში გადასტომა...

თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდი. აი, თითქოს, საკუთარ თავს რომ ემალები სირცხვილისგან, თუმცა რას დაემალები ამ ოხერს და ბედოვლათს... შეგარცხვენს, აი როგორ

შეგარცხვენს, იცით? დაწყებით კლასებში ცოტა წამოზრდილი რომ ხარ, გაპრანჭვა რომ ახალი დაწყებული გაქვს, მასწავლებელი რომ გაგიძახებს და მთელი კლასის წინაშე შეგარცხვენს...

ალბათ, ვერც კი ავხსნი ამ გრძნობას. მოკლედ, სანამ ბოლომდე გავანალიზებდი, რა ხდებოდა, მარცხნივ „ნაკლევებით“ მორთული კარი გაიღო და მშვიდი სახით, სევდიანი თვალებით სიმშვიდე და სიყვარული შემოიტანა ბუშტებიანმა ხანში შესულმა კაცმა. თითქოს ბუშტების გაუიფო უნდოდა, თუმცა მის თვალებში მარტივად ამოიკითხავდით, რომ გარეთ გაყინული, შიგნით სითბოს ეძებდა. ჩვენ რალაც საშინელი არყით ვიჟდინებოდით... მოხუცი ჩვენკენ მოიწევდა, მინდოდა ჩავხუტებოდი. ბუშტი არ მიყუდიდა, თუმცა მაგიდიდან დიდი ყვითელი ვაშლი გავუწოდე.. სიყვარულით სავსე თვალებით მანიშნა, რომ ვერ შეჭამდა (კბილების გამო). ბუშტებიანი ხელები გაშალა და მთელი სხეულით, თავისი გაყინული და კეთილისხეულით და სულით ჩამეხუტა.

უაზროდ ვიღიმოდი, ცრემლებს ვვლავავდი. გული აღარ მეტეოდა, თითქოს გალიიდან გამომიფრინდა და თავისუფლება ვიგრძენი.

მსგავსი გრძნობა ნამდვილად არასდროს მქონია. ფეხებიდან დამიარა, გამაჟრიალა და ერთბაშად გავთბი. მისი ხრინწიანი ხმა, ჩუმი სიტყვები, თბილი გული, სევდიანი თვალები არასოდეს დამავიწყდება..

ეს გრძნობა ჯობდა ყველა იმ ბანალურ „ურთიერთობას“, ყველა ბანალურ წამს, წუთს, საათს...

არასოდეს დამავიწყდება მისი ხელები, ხელში წითელი გულის ფორმის ბუშტები, ზედ წარწერით: **მე შენ მიყვარხარ!**

ქეთა ჯინჯარაძე

პიანისტი

მე პიანისტი ვიყავი!

სულ რაღაც სამი წლის ვყოფილვარ, პიანისტი რომ მივეპარე და თითების არათანაბარი მოძრაობით გულის გამაწვრილებელი „მუსიკის“ შექმნა დავიწყე. ეს დედასგან ვიცი. მე ეს არ მახსოვს, ისევე, როგორც ჩემი მუსიკალური ჩანახლების მომენტი... არც „ახალსახლობა“ მახსოვს ამ სამყაროში... დედა ამბობდა, პიანისტი გეძინებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლო შენი საწოლში გადაყვანა...

ცუდია, რომ არ მახსოვს...

კარგად უღერს... ჩემი პირველიც და უკანასკნელი სიყვარულიც ისაა... ჩემი თეთრი როიალი...

მახსოვს, შვიდი წლის ასაკში მუსიკაზე რომ შემიყვანეს...

ჩემი მასწავლებელიც მახსოვს... მრგვალი ქალი იყო, სათვალისანი... თუ რომელიმე ნოტს ავურევდი, თითებში საგანგებოდ გამზადებულ სანაზავს მირტყამდა... ვინ იცის, რამდენჯერ მიფიქრია, - ალბათ რამდენ ჩემნაირს აწამებდა ამ სანაზავით-მეთქი. ამ სტაფილოსფერი სანაზავის გამო ბევრმა ჩემმა გუნდელმა გული აიცრუა მუსიკაზე და სამუდამოდ მიატოვა ფორტეპიანოც... მე არა... უბრალოდ, იმ მრგვალ ქალს ვთხოვე, ხელეში აღარ ჩაერთო:

- მასწავლებლო, შეიძლება რაღაც ვთხოვო?

- რა თქმა უნდა, - გამიღიმა და სათვალე გაისწორა. შემრცხვა. თითქოს, ეს ის ქალი არ იყო, რამდენიმე წუთის წინ სანაზავი რომ ჩამართვა ხელში. სანაზავს პატარა ნაწილაკი მოწყდა და შენელებული კადრით ახტუნავდა. მე კი თვალი გავაყოლე. დაკვრა შევწყვიტე და მასწავლებელს ძლივს გავუბედე სხვა თემაზე ლაპარაკი. თუმცა ეს საქციელი არასოდეს მინანია...

- შეგიძლიათ სანაზავი ხელში აღარ ჩამართვათ?

- ბატონო?! - ქალს ღიმილი მიეყინა და სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა.

- მასწავლებლო, ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ხელეზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია. მინდა მოვუფრთხილდე მათ. თუ რამე არ მოგეწონებათ, ძალიან ვთხოვთ, სადაც გინდათ დამართყით, ხელების გარდა...

შევამჩნიე, მრგვალ ქალს როგორ აუთამაშდა ქვედა ტუჩი და სათვალისდანაც წვიმა წამოვიდა. ორივე ხელით ჩამებლაუჭა და გულზე მიმიწება. მას შემდეგ სულ ასე გულზე მიწებებულ-ჩამოკიდებული ვყავდი. სანაზავი აღარასდროს ჩაურტყამს. აღარც უჩნებია. წყნარად მიხსნიდა ჩემს შეცდომებს და მეც დარცხვენილი უმალ გამოსწორებაზე ვიწყებდი ზრუნვას.

ხელთათმანები შევისისხლხორცე. მათ მხოლოდ ფორტეპიანოსთან ვისხნიდი. გავუცნაურდი... ყველა სახიფათო ნივთს ვერიდებოდი.

ღანა...

ველოსიპედი...

როლიკები...

არა მხოლოდ ნივთებს, ბავშვებსაც... მათთან თამაში ყოველთვის სახიფათო იყო, ზოგი მუხლგაყვლეფილი იყო... ზოგიც „იდაყვებგაქლუცული“...

მეშინოდა...

მეშინოდა, ხელები არ დამეზიანებინა...

ჩვიდმეტი წლის ასაკში დედამ თეთრი როიალი მაჩუქა... მაშინ მივხვდი, რა იყო ბედნიერება...

დღეც და ღამეც...

ერთხელ, მასწავლებლისთვის განკუთვნილი ჭიკარტი ჩემს ნოტების რვეულში მოხვდა. ეს საშიში იარაღი იყო... კიდევ კარგი, არაფერი დავიზიანე...

კლასიდან გადავედი...

სისხლის ანალიზის აღების დრო რომ დადგა, მაშინ მივხვდი რა იყო ისტერიკა. ჭეშმარიტი ისტერიკა... მას შემდეგ „ისტერიკა“ შემარქვეს. ეს სახელიც ხელთათმანებივით შევისისხლხორცე...

ჩემთვის არ არსებობდა კონკურსი რომელშიც მეორე ადგილს დავიკავებდი. მტრები გავიჩინე. ერთ-ერთი საბედისწერო აღმოჩნდა.

კონკურსის წინა დღეს დარბაზში ვმეცადინებოდი. ის გოგოც მოვიდა. მისმენდა და ბოლმის გორგალი ყელში ეჩხირებოდა. ამას ვგრძნობდი, მაგრამ დაკვრა არ შევწყვიტე. მომიანლოვდა, სწრაფი მოძრაობით ჩემი შეურყვანილი, სიცოცხლეზე ძვირფასი ხელები ფორტეპიანოში ჩაკეტა და სახურავს ზემოდან დააჯდა.

„არ მოგცემ უფლებას, ყოველთვის გაიმარჯვო!“

იქდა ნახშირით შავ როიალზე, ფეხი ფეხზე გადაედო და ტკბებოდა ჩემი ტანჯვით...

ბოლო ხმაზე ვყვიროდი.

ვტიროდი.

არავის ესმოდა.

ის წავიდა...

მე კი ხელები დამისახიჩრდა...

ჩემი სათუთი, ჩემი საყვარელი, ჩვილი ბავშვივით მოვლილი ხელები, შრომით დაღლილი დედაბრის დაძარღვულ, დამჭკნარ ტორებად იქცა. მერჩივნა მოვეკალი... ერთი თითი იმდენად დამიზიანდა რომ მისი ამპუტაცია განდა საჭირო.



„ისტერიკამ“ ისევ გაიღვიძა, როდესაც უცნაურ ოთახში გამეღვიძა და ერთი თითი მაკლდა.

რამდენჯერმე თვითმკვლევლობაც ვცადე. მაგრამ, როგორც ჩანს, ცუდად მოვინდომე. ხანგრძლივი დეპრესიის შემდეგ ვცდილობდი 9 თითით დამეკრა. ამაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო ჩემს ცხოვრებაში? რამდენიმე წუთში ყველა ოცნება, სურვილი და მომავლის რწმენაც კი გაქრა. ზუსტად ისე, როგორც ილუზიონისტის ხელში პატარა ჩიტუნა.

სახლში მარტო ვიყავი და 9 თითს ვაწვალე თეთრ როიალთან. ჩემი მტერი მოვიდა. თავჩაქინდრული იდგა კართან. რაღაცებს ბოდავდა, თუმცა არ მომისმენია... მხოლოდ ერთი სიტყვა დავიჭირე რამდენჯერმე, „მაპატიე“... მე მისი სისულელის აღქმისთვის არ მეცალა, მილიონმა აზრმა მაინც გამიელვა თავში, როგორ შეიძლებოდა მომეკლა, რომ მეტი ტანჯვა მიმეყენებინა. ბოლოს გადავწყვიტე, ვენახის მაკრატლით მომეჭრა მისთვის თითი. ეს უდაოდ საუკეთესო ვარიანტი იყო. რომ მომეკლა, ასე ვერ გაიგებდა, რას ვგრძნობდი მე.

- გინდა შენთვის დავუკრა? - ვკითხე მოულოდნელად, ის შეცბა.

- შემოდი...

მივუჩქე ჩემს სიყვარულს და 9 თითით მეცხრე სიმფონიის დაკვრა ვცადე. საუკეთესო არ იყო... თუმცა ბევრს ეს 10 თითითაც არ შეეძლო...

- როგორ... როგორ შეძელი? - მიყურებდა გაოცებული სახით.

- ადვილია, შენც გასწავლი... - დაიბნა, ვერ მიხვდა, რას ვგულისხმობდი, სანამ მამაჩემის ფარებიდან ვენახის მაკრატელი არ გამოვიტანე. ახლა კი შეეშინდა და ყვირილი დაიწყო (არ ვიცი ასეთი უსაზღვრო ძალის მოზღვავება საიდან ვიგრძენი, მე ხომ არასოდეს მქონია სპორტთან შეხება, სწრაფადაც კი არ მივლია. მაგრამ, ალბათ, ღმერთებმა გამირიეს დედის რძეში რაღაც ელექსირი, რომელიც მაშინ მაძლიერებდა, როდესაც ეს მჭირდებოდა.). რაღაც ბლაგვი საგანი ჩავარტყი, არ გათიშულა, მაგრამ გაჩუმდა. თვალეში მიყურებდა. მისი ცრემლი სახეზე წასმულ სხვადასხვა „ფერუმარილში“ იზილებოდა და ტალახს მაგონებდა. ეს ტალახი კი ცხვირიდან წამოსულ მწვანე ჟელეს ერეოდა. კიდევ ერთხელ ვიგრძენი ძალა... მისი თითი მაკრატლის კბილებს შორის მოვამწყვდიე, ისევე როგორც მან, ჩემები ფორტეპიანოში. მხოლოდ ხელის ერთი მოძრაობა იყო დარჩენილი და... და ისიც ჩემსავით დაიტანჯებოდა...

- რატომ არ ყვირი? - შევუღრინე გაცოფებული მხეცივით...

- ვიმსახურებ! შენსავით მაინც ვერასოდეს დავუკრავ...

უცებ დრო გაჩერდა. როგორ შეძლო ამ მომენტისთვის ზუსტად შესაფერისი სიტყვების შერჩევა?! უცებ სულელივით გადავინარჩუნე და მაკრატელი მის თითებს მოვაცილე.

- რას აკეთებ? - გაუკვირდა მას. - გააკეთე ეს, ხომ გინდა რომ დავიტანჯო? თუ ძალა არ გყოფნის დაგეხმარები... მაგრამ სწრაფად... არ მიყვარს ტკივილი... და კიდევ ათასი „ბლა ბლა ბლა...“ მისი სასოწარკვეთილი თვალეში მომჩერებოდა და რაღაცას ბოდავდა მაგრამ მე არაფერი მესმოდა, მხოლოდ ვნარჩუნებდი, მულტფილმის ბოროტი გმირივით.

- არა! - ვთქვი და სერიოზული სახე მივიღე.

- რა?

- შენ რა, მართლა გგონია, რომ მუსიკისთვის ამხელა მსხვერპლს იმსახურებ? - აქ უკვე ირონიული სახე და ღიმილი ვტყუორცნე, უკან დავიხიე და ჩემს თეთრ როიალზე ისე ჩამოვსკუბდი, როგორც ის იმსახედისწეროდღეს იჯდა ფორტეპიანოში ჩაკეტილ-ჩაწებებულ ჩემს ჯერ კიდევ შეუთრყვენელ ათივე თითზე.

მან დაკვრას თავი დაანება. თითოეული ნოტი ახსენებდა, რომ ის ტანჯვის ღირსიც კი არ იყო... მე „საგიჟეთში“ გამომამწყვდიეს. სადაც ყველა გიჟია, რა თქმა უნდა, ჩემ გარდა. აქ თითქმის ხავსმოდებული ორ სატერფულიანი პიანინოა. თუმცა მესამე რა საჭიროა, მეც ხომ მაკლია თითი?

ახლა ყოველდღე ვუკრავ ორ სატერფულიან (პედლიან) პიანინოზე ცხრა თითით, გიჟებისთვის...

კარგი მსმენელები არიან...

ანა სანეშლიძე

ხელოვნებათმცოდნეობა, მეოთხე კურსი